№ 57. 17 მარტი, სამშაბათი. 1866—1881 17 მარტი, სამშაბათი. № 57.

დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“ ИЗДАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას ახმარებდნენ. მაგრამ რა გამოვიდა? ხალხმა, სწავლის მოყვარემ და მწყურვალმან, იმდენათ გული აიკრუა ამ სკოლებზედ, რომ ზოგი დაკეტა და დანარჩენსაც დაკეტავდა, თუ ადმინისტრაცია ნებას აძლევდეს.

სრულიად სხვა მსვლელობა მიეცა სახალხო სკოლას ალმოსაელეთის საქართველოში, სადაც თავდაპირველათვე მის უმთავრესი დანიშნულება შეიქნა: გვარიანი ქართული წიგნის სწავლება, საგნების და ცოდნის გადაცემა დედა-ენაზედ, და სადაც რუსულის ენას აწყებინებდნენ მასუკან, როცა ბავშვები ენას გაიკვეთდნენ ქართულში და გონებას შეიმაგრებდნენ,—ესე იგი მესამე წლიდგან ოთხი წლის კურსის დაწესებასთან. ეს უკანასკნელი დაწყებილება სკოლისა იმდენად შეესაბამებოდა და ეთანხმებოდა ხალხის სურვილსა, რომ მან მტკიცე საფუძველზედ დააყენა ყოველი სკოლა, თანაგრძნობით უცქეროდა მას და არც ერთი სკოლა არ დაუკეტნი მაშინ, როდესაც ჭუთაისის გუბერნიაში ზედიზედ იხურებოდნენ იგინი . . . . . .

—

P. S. პირველ წერილში ორი შეცდომა გამოერია, რომელნიც უაზრობას ახდენენ. ვასწორებთ ორივეს. მეხუთე სვეტში დაბეჭდილი იყო: ბ-ნ დიდებულიძისათვის გადაუთარგმნინებია სოკოლოვის მოკლე კატეხიზმო. უნდა ყოფილიყო: ბ-ნ დიდებულიძისათვის გადაუთარგმნინებია სოკოლოვის მოკლე კატეხიზმო იმ განძრახვით, რომ ქართული თარგმანი და რუსული ტექსტი ერთათ დაბეჭდონ. მეშვიდე სვეტის ბოლოს იყო დაბეჭდილი: გამოდის მხოლოდ ერთად-ერთი დასკვნა, წინაალმდეგი მთელის პლანისა... უნდა ყოფილიყო: გამოდის მხოლოდ ერთად-ერთი დასკვნა, წინაალმდეგი მთელის პლანისა: ან რუსული ენა უნდა სრულიად იქმნას გამორიცხული სკოლის კურსიდგან, ან...

ხელმწიფის მიცვალების ამბავი.

— პეტერბურღიდამ იწერებიან: 4 მარტს სხვა-და-სხვა სასწავლებლების კარებზედ კედლებზედ უნახავთ აკრული პროკლამაციები „რევოლიუციურ ბამგე კომიტეტისაგან.“ ეს პროკლამაციები, როგორც სჩანს, სამზღვარ გარეთ უნდა იყოს დაბეჭდილი და 1 მარტის ადრე შედგენილნი.—

— 2 მარტს რამოდენიმე საეჭვო პირთ დაეხვივნენ დაბალი ხალხი და ჰსურდათ იქვე ფარნების სვეტებზე ჩამოეხრჩოთ, მაგრამ პოლიციამ გადაარჩინა.

— ხალხმა მოჰფინა თაიგულებით ის ადგილი, სადაც იმპერატორი მოჰკლეს.

— ეხლა და ეხლა რწმუნდებიან, რომ უმთავრესი ხელმძღვანელები პეტერბურღის რევოლიუციურ პარტიისა იმყოფებიან სამზღვარ გარეთ.

— ეპრაელი ქალი, რომელიც დაჭერილია, აღმოჩნდა სახელმწიფო დამნაშავეს დეიჩის და.—

— მკვლელობას დღეს ქარავანისა და იტალიის ქუჩებში შეუნიშნავთ რამოდენიმე პირნი, რომელთაც რაღაცეები ეჭირათ თეთრ ფუთებში გამოკრული. ყოველგან უდარაჯებდნენ იმპერატორსო.

— მიცვლილი მკვლელი ხელმწიფისა აღმოჩნდა ის პირი, რომელიც წასრულ წელში რამდენჯერმე ნახეს ქიევში ჟანდარმის მუნდირით.—

— ხელმწიფე იმპერატორის სიცოცხლის უკანასკნელ წამებზე იწერებიან: მიასვენეს თუ არა იმპერატორი სასახლეში, მაშინვე მოიყარეს თავის ხელმწიფის სახლობამ და მის მახლობელ პირებმა. ხელმწიფე თითქმის უგრძნობლათ იწვა და მძიმედ ოხრავდა; სისხლის ნაკადული მოდიოდა საშინელ ჭრილობებიდამ. მაგრამ მალე, თითქო გონზე მოვიდა. ერთ კითხვაზედ, ნელა თავი გაქნია, თითქო მიხვდა რასაც ჰკითხავდნენ. ამის მერე იმპერატორმა მიიღო წმ. ზიარება. მეოთხე საათის ნახევარზედ ყველაფერი გათავდა. იმპერატორმა თვალები გადაკარგა. იქ მყოფნი ყველანი დაემშვენენ მოხლებზედ და მიმართეს მხურვალეს ლოცვით ზეცას ამ დროს სამჯერ კიდევ ამოიოხრა ხელმწიფემ... და განუტეეა სული თვისი.

— პეტერბურღის ქალაქის რჩევამ ლორის მელიქოვის პირით მოახენა ხელმწიფე იმპერატორს, უბოძოს ნება ქალაქს, რომ დასდგას საჯვარე, იმ ადგილზედ, სადაც შესაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა. ხელმწიფემ ინება მადლობის მოხსენება და თავის მხრით ბრძანა: „სასურველია, რომ იმ ადგილზედ ეკლესია იქმნეს აგებული და არა მარტო საჯვარეო“. ქალაქის რჩევამ გარდასწვიტა ეკლესიის აშენება ამ ადგილზედ.

— პეტერბურღში დაუტუსაღებიათ 18 კაცი, რომელთაც სადგომში ამზადებდნენ თურმე ყველა გვარს ასაფეთქ მასალებს.

— 1 მარტის შემთხვევაზედ ამბობს ინგლისური გაზ. *Daily News*: ეჭვი არ არის დამნაშავენი უნდა დაისაჯონ; მაგრამ ესეც უნდა აღვიაროთ, რომ იმ გვარის სასტიკი ზომების მიღება ნიგილისტების წინაალმდეგ, როგორსაც აქამდისინ ხმარობდა რუსეთი, ამათ დასამშვიდებლად არ გამოდგება...

ახალი ამბები.

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალ-სენაკის, ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრების რევიზიისათვის გაგზავნილი ა. ვ. სარაჯოვი გუშინ, კვირას, დაბრუნდა თფილისში; ამბობენ, იმან უკვე გათავა ამ უეზდების რევიზია.

საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის შეტყობა ამ რევიზიის შედეგისა,—რა აღმოაჩინა რევიზიამ როგორი წესები, ან რა უწესობა ჰსუფევს ამ უეზდების ხვა-და-სხვა უწყებებში, გამგეობაში და სხვ.—იმედია, ყველა კანცელარიულის საიდუმლოებით არ იქნება დაფარული...

* * *

ბათუმიდამ ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რომ ცილის-წამება იყო თქვენს გაზეთში დაბეჭდილიო, ჩვენი ბათუმის მომრიგებელი მოსამართლე ბ. ბონდირევის შესახებ, რომ ვითომც რვა საათზე იბარებდეს ხალხს და ნება მიეცეს ყავახანის გახსნისა.

პირველი რომ რაც აქ სასამართლოს განყოფილება დაწესდა, ჯერ არავინ ყოფილა რვა საათზე დაბარებული და თუ ათ საათს გადააცილებს საქმების გარჩევას, ეს იმისათვის, რომ ადგილობრივი ხალხის ჩვეულება იცის, ათ საათზე უმრავლესობა არ დაესწრობა, რადგანაც ამ დროს საქმელს შეექცევიან.

დ, მეორეთ: ყავახანის გახსნა სრულებით ბ. ბონდირევის ბრძანებაზე არ არის: სახლის მეპატრონეს შეუძლია იქ სხვა ვინმეც დაიყენოს, რადგანაც ის სასამართლო ზალიდან განცალკევებულია დ: ბ. ბონდირევს არავითარი უფლება არა აქვს სიტყვის თქმისა, მით უმეტეს რომ თავისი ყოფნის (იმ სახლებში) ვადა შესრულებული ჰქონდა დ: ორის თუ სამი თვით კიდევ დარჩა ვიდრე ახლათ ნაქირავები სახლის შენება დასრულდებოდეს.

შემდეგ ჩვენი კორრესპონდენტი განაგრძობს:

„ბ ბონდირევს მხოლოთ ერთადერთი ნაკლულევანება აქვს, რომ ადგილობრივი ენები არ იცის და ჩვენ ამისათვის არა-ერთხელ გვინატრია, რომ გამომძიებლებთან და მასთანაც რუსული და სხვა ენების რიგიანათ მცოდნე მოენები ყოფილიყვნენ. რადგანაც არა-ერთხელ გაგვიგონია საყვედური, რომ „ყველაფერი რიგიანათ ვერ გარდაუციათ მოენებსაო“ და, რასაკვირველია, მოსალოდნელია ამათი სამართლიანობა უსამართლოთ გარდაიქცეს.

„თუ მივიღებთ მხედველობაში მოენების მცირე ჯამაგირებს, მაშინ არ შეიძლება ბ. ბონდირევის გამტყუნება, რომ რიგიან მოენებს ვერ შოულობს; ეს თვით უმაღლესი ოვალეობაა, რომ ამას ყურადღება მიაქციოს და რიგიანი ჯამაგირები დაუნიშნოს იქამდი, ვიდრემდი დარწმუნდებიან, რომ მართლ-მსაჯულებისათვის აუცილებელი საჭიროა, რომ სასამართლოებში ადგილობრივ ენებსაც ადგილი ჰქონდეს.“

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღებში ბ. მ. ჯან—საგან ქაროულად გადმოკეთებული პატარა საყმაწვილო წიგნი, სახელად მერცხალი. შინაარსით ეს პატარა წიგნი სწორეთ ისეთი წიგნია, რომელიც კარგათ შეეთვისება ყმაწვილის გონებას და რომელიც უსარგებლოც არ იქნება ყრმათათვის.

ვუბედურთ, ცოტა არ იყოს ენა და კორრექტურა კოჭლობს ამ წიგნისა და ეს საყმაწვილო წიგნისათვის ჩვენ დიდ ნაკლულევანებად მოგვაჩნია.

ბამოცემა ლამაზია ფასიც იაფია—7 კაპ., ვინც ოც ეგზ. იყიდის, თითო წიგნი შაურად დაეთმობა.

* * *

ფოთი-თფილისის რკინის გზის რიონის სტანციიდამ გვწერენ, რომ ამ სტანციაზე დიდი უწესობა არისო, ხშირად ქურდობა ხდება, ხამ ხალხს ჯიბეს სჭრიანო, ბილეთების აღებაზედაც ყაი-ვაგლახი არისო და სხვ.

აქედამვე გვატყობინებენ, რომ, რადგან რკინის გზაზე მდებარე ანანოეის მამულს აწვება მდ. რიონი და წალეკას ემუქრაო, ამას გამო ამ ადგილას დამბას (ქვითკირის კედელს) აკეთებენ წყლის ნაპირასაო. ამ განზრახვით ზოგი მუშები ადმინისტრაციამ გამოიყვანა სოფლებიდამ და ზოგი მუშაობაც (მიწის-მუშაობა და ვაგონებით ქვის ზიდვა) იჯარით აღებული აქვს ინჟინერს პ-ვს. ამ ინჟინერს 170 კაცი გურული მუშები დაუქირავებია, დღეში 70 კაპ., რომელთაც ხუთი დღე უმუშავნიათ და არც ამათთვის და სხვა ადგილობრივ მუშებისთვის გროში-კაპეიკი არ მიუცია. ბოლოს მუშებს მიუტოვებიათ მუშაობა და ზოგი შინ წასულან და ზოგს კი სამართალში უჩივლიათ. ამათ კი დაიხწიეს თავიო, მაგრამ მამასახლისებისაგან გამოწვეული გლეხებს კი ახლაც მუქთად, უფასოდ ამუშავებენო.

* * *

ბორიდამ გვწერენ, რომ იქაურ ქალაქის რჩევას გარდაუწყვეტია როტონდის გასაკეთებლად 500 მანეთის გადადება ქალაქის ფულიდამ და ამ საქმ-ს შესასრულებლად სამი კაცი ამოურჩევიათ.

* * *

შემოქმედიდამ გვატყობინებენ სამწუხარო ამბავს, რომ იქაურს მდინარე წყალში ორი ქალი დამხრჩვალა, ერთი 15 წლისა და მეორეც 8-სა. წყალზე გადიოდნენ თურმე, უფროსმა უნცროსს ჩაავლო ხელი ხელში; წყალმა ჯერ უნცროსი მოიტაცა მერე იმას უფროსიც გადაჰყვაო. ორი საათის შემდეგ ორივე დამხრჩვალი ნახესო.

* * *

დღეს, საღამოს 7 საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში არის მეცხრე სხდომა ვეფხის ტყაოსნის რედაქციისა.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

რაჭა, 4 მარტს. შარშან ქვემო რაჭის მცხოვრებლებმა დაიწყეს ლაპარაკი და მეცადინეობა ჩვენი მაზრის სასამართლოების გარდატანის თაობაზედ თუ როგორს საჭიროებას შეადგენს სასამართლოს დაფუძნება მაზრის შუა ადგილზედ, ამაზედ ლაპარაკს არ ვრაცხ საჭიროდ, რადგანაც წასრულს წლებში ერთმა აქაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორრესპონდენტმა ეს ერცლად ახსნა. მე მხოლოდ მსურს მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა იმ ბოროტ-მოქმედებაებზედ, რომელიც გამოიწვია ჩვენში ამ საგანმა და რომელიც მუდამ დღე მატულობს.

შარშან, როდესაც გავრცელდა ხმა დაბის ⊔ნის გარდატანაზედ, თურმე რამოდენმა პირებმა და სახლის პატრონებმა შეჰკრეს პირობა, რომ შეკრიბონ მცხოვრებლებთაგან ფულები, რომელსაც წარუდგენენ ერთს ვინმე გავლენიან პირს და ამის შემწეობით დაბა დარჩება ისევ თავის ადგილზედვე. როგორც ამბობენ თავის განძახვა იმათ კიდევაც მოიყვანეს სისრულეში: დანიშნეს ერთი ვინმე ყმაწვილი კაცი მოსაქმედ რომელიც ბრძანებს თურმე, რომ ჩემგან შიკრებილი ორი ათასი მანეთი ჩვენი გუბერნიის მარშლის განკარგულებაშია. მაგრამ თქვენი მტერი არ იყოს, იმ ფულებს თ. ნ. წერეთლის ჭაბემდინ არ მიეღწიო!... უჰაღლეს მთავრობას რომ ან უარი ეთქვას ჩვენთვის სასამართლოების გარდატანის თაობაზედ და ან იმედი ჩვენი მცხოვრებლები ამ მტაცებლობისგან დახსნილნი შეიქნებოდნენ.

როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელს დროს მოსვლია ჩვენი მაზრის უფროსს გუბერნიის უფროსისაგან მოწერილობა, რომ ეკითხოს ძვემო რაჭის მცხოვრებლებს — თუ რა ადგილს ამოირჩევენ იგინი სასამართლოს დასაფუძნებლად. როდესაც ეს ხმა გავრცელდა დ. ⊔ნის ახლო-მახლო მცხოვრებლებში, ზემოთ ხსენებულს პირს ხელ-ახლა განუზრახავს განგრძობა შარშან დაწყებულის მისის სისტემით გარდასახადის მოკრებისა. სამწუხარო იქნება, თუ იმან შესძლო შარშანდელივით ხალხის მოტყუება. ჩვენი მაზრა ისე მდიდარი არ გახლავთ, რომ ბრალიანსა და უბრალოს ფულები ხელში უყაროს, რომ რაიმე მოგვცა, ჩვენოდენი დაფუშული საქმეები და საჭიროება ვისა აქვს? ბანა ჩვენ ვერ მოვიხმარდით?

სანატრელია, რომ მთავრობამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და ადრიანით გარდასწყვიტოს: გვაძლევს დაბის გადატანის ნებას, თუ არა? თურმე ნანდვილ ამ ნაირადვე მოხდა ამას წინეთ ლეჩხუმშიაც, როდესაც იყო ლაპარაკი დაბის ლაილაშის გარდატანის თაობაზედ. ბამოჩნდნენ იქაც იმისთანა თვალ-მაქცი პირები, როგორც ჩვენში და ცაგერსაც, სადაც დაბა გაარდააქვთ, და ლაილაშსაც ულვთოთ დაუწყეს ცარცვა. ნაცარცვი ფულებით ეს პირები შემწეობას უპირებდნენ ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს, მაგრამ ბოლოს ის ფულები ვილაცას ხელში გაჰქრენ.

რაჭის ხალხი, ნაქები ნიჭიერებით და შრომის-მოყვარეობით, სულით და გულით მოსურნე არის განათლების მიღებისა. ბლეხები გრნობენ, რომ ისინი იცარცვებიან თავის უმეცრების მიზეზით და ამიტომ, როგორც გაუჩნდებათ ვაჟი-შვილი, იმას ფიქრობენ-თუ რაით წაიყვანონ რიგმ არ დარჩენ ისე ბრმებათ, როგორც მათი მშობლები. მაგრამ ამ კეთილის ჰაზრის აღსრულების დამარღვეველი მიზეზები დაუთვალავია ჩვენის გლეხების წინაშე.

რაჭის მაზრაში არის დაფუძნებული ორ კლასიანი სასწავლებელი დაარსებიდამვე რაც კლებაში არ შედის, არ მატულობს. ადგილობრივი მცხოვრებნი თავად-აზნაურობა გულ-ცივად შეჰყურებს მისს უმსგავსოთ ფოლიალს; ხედვენ, რომ იმისაგან თითქმის არაფერი სარგებლობა არ გამოდის; ხედვენ, რომ ის ვერ ამზადებს ყმაწვილებს არა თუ საშუალ სასწავლებელთათვის, არამედ უმცროს სასწავლებლების პირველი კლასებისთვისაც, (მაგალ. როგორც ძუთაისის სასულიერო სასწავლებ.) და ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენს შვილებს იქ გასაფუჭებლად არ შევიყვანთო. შემიძლია დავასახელო ბევრი აქაური გლეხები, რომელთაც თავის შვილები Oერგის ხეობის უეზდის და სოფლის სკოლებში შეჰყავთ. ერთმა აქაურმა გლეხმა თავის შვილებს ჯერ ალაგირში დაასრულებინა სასწავლებელი და შარშან ⊔უბანის მაზრაში, ბატალპაშინსკის სამოქალაქო სასწავლებელში მიაღებინა.

აქედამ სჩანს, რომ ჩვენი მაზრის ხალხს კარგათ შეუტყვია ჩვენი სასწავლებლის სისუსტე; ევრეთვე სჩანს, რომ ეს ხალხი არაფერს არ დაზოგავს განათლებისათვის, თუ კი წინ გამძღოლი და გზაზედ დამყანებელი ეყოლება. მაგრამ სამწუხაროდ, მართლაკა ჩვენს მაზრას არა აქვს შეძლება, რომ დაარსოს ერთი ხეირიანი სასწავლებელი. ჩვენთვის უსაჭიროესი არის ერთი სამ კლასიანი და ან ოთხ კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი.

ეხლა ორიოდე სიტყვა ლეჩხუმის ორ-კლასიან სასწავლებელზე: წასრულ წელში ერთმა ყმაწვილმა დაასრულა აქ ორი კლასი და ისურვა სწავლის გაგრძელება. ამ ყმაწვილის მამამ მოინდომა თავის შვილის ძუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეყვანა; მივიდა ლეჩხუმის მაზრის ორ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველთან და სთხოვა, რომ მოემზადებინოს ყმაწვილი აღნიშნულ სასწავლებლის პირველი კლასისათვის. ზედამხედველმა მიუგო, რომ თუ ექვსასი მანეთი არ მომეცი, შენს შვილს ვერ მოვამზადებო.... ეხლა თვით თქვენ საჯეთ ამ სასწავლებლის სიკეთეზედ, სადაც ამისთანა ზედამხედველია!.. სოფლის სკოლებზედ ლაპარაკიც არა ღირს: ჩვენი სოფლის სკოლები ზოგნი დაკეტილი არიან და მათში შეგირდების მაგივრად თაგვები დაწრიპინობენ, ზოგი კი მძინარ კაცსაებრ, ხან ამოიხროტინებენ და ხან მიჩუმდებიან, ძილს მიეცემიან. მხოლოდ ერთმანეთის დახმარებით და შემწეობით ჩვენს და ლეჩხუმის უეზდს ერთად შეგვიძლიან ავიხილოთ თვალები; მხოლოდ საზოგადო ლონით და ჩვენის გულმოდგინე მოქმედებით შეუძლიან ჩვენში გაიელვაროს განათლების სხივმა და წაგვადგმევინოს წინ ნაბიჯი. როდესაც შეერთდებიან ეს ორი მაზრები, ამათ თამამად შეეძლებათ შეერახონ ერთი ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. სიშორის გამო, ჩვენი შვილები ძუთაისში ვერ მიგვყავს სასწავლებლად.

ამას გარდა ჩვენს ორივე მაზრებში იშვიათად შეიძლება ნახოთ ქალი, რომელსაც რაიმე ესწავლოს.

ჩემის აზრით, როგორც ამ მხრით, სხვა მხრითაც ლეჩხუმის და რაჭის მაზრების შეერთებას დიდი მნიშვნელობა ექმნებათ სახელმწიფო ინტერესისათვისაც: დღეს მაზრებს სჭირდება ორ-ორი მაზრის უმფროსები, ორ-ორი თანაშემწეები, ორ-ორი სეკრეტრები და სხ., მაშინ კი დაჭირდება თითო და სახელმწიფო გასავალი საკმაოდ შემცირდება. როდესაც რამოდენმა ნაწილმა ლეჩხუმის მაზრისამ სთხოვა მთავრობას დაბის გადატანაზედ, აღმოსავლეთ ლეჩხუმის მცხოვრებლებმა ისურვეს რაჭასთან შეერთება. იტყვიან, რომ მცხოვრებლები სასამართლოს სიშორის გამო შეწუხებულნი შეიქნებიანო; ეს დაბრკოლება შეგვიძლია ავიცილოთ თავიდამ ამ ნაირათ: შეიძლება ერთი მსაჯულის თანაშემწე, რომელსაც ექმნება მსაჯულის ვალდებულების აღსრულების უფლება, დავაყენოთ სოფელს ცაგერს, მეორე ამისთანაც დ. ⊔ნში და მაშინ მცხოვრებლები სასამართლოს სიშორით აღარ შესწუხდებიან.

ბაბი.

მწერლობა.

ვეფხის ტყაოსანი.

(შარვე ხსდომა რედაქციისა, 13 მარტ.)

ხსდომა დაიწყო რვის ნახევარზე; გათავდა თერთმეტზე.

თავ-მჯდომარეთ იყო დავ. ბიორ. ერისთავი.

წაიკითხეს მე-IV კარის 46 ხანა, 32-დამ 78-მდის.

ბასწორდა:

ა) ტექსტში:

33 ხანაში	დაგვსსნა	ბასწორდ	დაგვსნა
34 ,,	კი დესით	,,	კიდ ესით

მე 35 ხანა:

ჩვენი ქმა გდას დაკოდილი...

სულ გამოირიცხა პოემიდამ იმავე მიზეზებით, რა მიზეზებითაც ვამორიცხულია დღემდის ის ხანები, რომლებზედაც იყო ლაპარაკი წინა ანგარიშებში.

36 ხან.	ამაყიწა	გასწ.	ამაყი წა
37 ,,	მზისა	,,	ყმისა
38 ,,	უნდა	,,	მისი
39 ,,	ყოლა არ	,,	ყოლ არა
40 ,,	ჩემის	,,	ჩემსა
— ,,	მაშვრალსი	,,	მაშვრალი
41 ,,	ზესითა	,,	ზეზითა
43 ,,	სადმე	,,	რადმე

მე-43 ხანაშიეე, მეოთხე ტაეპი:

ანუ მომკლავს, ანუ მოგკლავ...

გასწორდა:

ანუ მოვკლავ, ანუ მოგკლავს

მე-44 ხანა:

მე იმა ყმისა საკრავად...

ბამოირიცხა პოემიდამ.

45 ხან.	არა არს	გასწ.	არ არის
— ,,	მუნიდგან	,,	მუნადა
46 ,,	ესდიდ	,,	დიოდეს
47 ,,	სადამოს	,,	სადამო
— ,,	ბირსა	,,	ძირსა
— ,,	რავდენი	,,	რასდენი
52 ,,	ადკაზმულობა	,,	აკაზმულობა
54 ,,	არას	,,	არა
55 ,,	ასდოს	,,	ასდო
— ,,	სული	,,	სუნი
— ,,	კატისა	,,	ვატისა
56 ,,	შეიარა	,,	შეეარა
57 ,,	მას ვამბობინო	,,	ვამბობინო
59 ,,	ფიტხდავ	,,	ფიტხდა
62 ,,	თხრობასა	,,	შბობასა
63 ,,	მენუკავ	,,	მენუკვი
— ,,	იტუვი	,,	მეტუვი

მე-64 ხანა:

ყმა ეტყვის სედავ სისხლისა...

პოემიდამ გამოირიცხა.

65 ხან.	ამბავთა	გასწ.	ამბავსა
— ,,	ჩემი	,,	ჩემნი
66 ,,	შეგეტუვების	,,	შეგეტუობის
67 ,,	ზედა	,,	ზედან
72 ,,	დავრჩევა	,,	დავრჩე ვა
76 ,,	სულთა	,,	სულსა

ბ) **სხოლიოში** შესატანად ამ საღამოს შემდეგი ადგილები დაინიშნა:

33 ხან.	დავსსნა	გასწ.	დავსსნა
34 ,,	უფროსსა	,,	უფროსნი
— ,,	დავეზიდენით	,,	არ ვეზიდენით
38 ,,	მისი	,,	უნდა
39 ,,	ყოდ არა	,,	ძნელსა
— ,,	თქვენსა დასაღრეკილოსა	,,	თქვენსაგე საღრეკილოსა
40 ,,	ჩემსა	,,	ჩემის
43 ,,	დაიმალვის	,,	დაიკარგვის
46 ,,	ეეკამადთა	,,	საკამადთა
47 ,,	ძირსა	,,	ბირსა
— ,,	რასდენი	,,	რავდენი
53 ,,	უგვირს	,,	იტუვის
68 ,,	გაწყინო	,,	მაწყინო
69 ,,	არ მოგვდები	,,	თვითცა მსეადვ
72 ,,	იმისი	,,	ამისი
— ,,	დაუწყო	,,	და იწყო
74 ,,	ენასი	,,	ბაგენი

სხოლიოშიეე იქნება ჩატანილი 35, 44 და 64 ხანები.

განმარტეს, სხვათა შორის, 54 ხანაში: მეტსა თურე არა ეჯდა..., ე. ი. ამაზე მეტს არ იცდიდა შინაო... მე-61 ხანაში: ესულდე, რაც გიყავ... ე. ი. გაჩუმდი იმაზე, რაც მე შენ გიყავო.. მე-40 ხანა:

ჩრდილსა გარდასვით, მაშვრალი მიეცით მოსვენებასა

გადასწორდა:

ჩრდილსა გარდასვით მაშვრალი, მიეცით მოსვენებასა,

რადგანაც აქ მაშვრალი ეკუთვნის დაჭრილ ძმას. მე-43 ხანაში: ანუ მომკლავს, ანუ მოგკლავ—გადასწორდ: ანუ მოვკლავ ანუ მომკლავს, რადგანაც, რომ მომკლავს მერე უფრო დაიმალება, უფრო გაქრება იმის კვალიო...

ქნ. რაფ. ერისთავმა ისურვა, რომ ჩამეტანა ამ ანგარიშში მისი შენიშვნა იმის შესახებ, რომ მე-47 ხანაში ბირსა არ უნდა გადასწორებულ იყო ძირსა-დ და მე-55 ხანაში სიტყვა შეიარა არ უნდა გადასწორებულ იყო შეეარა-დ.

მე-50 ხანა ზოგიერთ ვარიანტებში სულ არ არის.

სამშაბათს, 17 მარტს, საღამოს შვიდ საათზე იქნება მეცხრე სხდომა რედაქციისა. მსურველთა ესთხოვთ, რაც შეიძლება ადრე მოგბრძანდნენ სხდომაზე.

თუ ხალხი ადრე შეიკრიბა, იმედია, რომ ისეთი მკაცრი თავმჯდომარის და ისეთი მარდი მკითხველის შემწეობით, როგორიც არიან თავ. Давид ერისთავი და Ив. Виор. მაჩაბელი, რედაქცია ორ-სამ თვეში შეასრულებს მისგან დაწყებულს საქმეს.

*

ეხლა, როცა ჩემი მოვალეობა პროტოკოლის მწერლისა შეასრულე, ერთს თავისუფლებას ვაძლევ ჩემ კალამს, თუ ვინიცობაა, რედაქტორმა ის უფლება მომცა.

რომ ბევრ ადგილს არ დაიჭერდეს გაზეთში, კარგი იქნებოდა ყოველ სხდომის ანგარიშში გამომეცხადებინა სრული სია იმ პირთა, რომელნიც დაესწრნენ სხდომას, რომ ამ გზით საზოგადოებას სცოდნოდა ვინ არიან ამ მძიმე და პასუხის-საგები საქმის მონაწილენი. ყოველი ამ საქმის თანამგრძნობელი, მე მგონია, ყველაზე უწინ იმას ჰკითხავს სხდომაზი დასწრეთა: ვინ და ვინ იყვნენ სხდომაში, ვინ რა სთქვა, ვინ როგორ ილაპარაკა და სხვ.? მაგრამ რადგანაც სხდომაში, ორთა შუა რიკხვით, ოც-დათი კაცი დადის და ყველა იმათი ჩამოთვლა ბევრ ადგილს დაიჭერდა გაზეთში, მე მხოლოდ იმით ვიხსენიებ, რომელნიც არ იყვნენ ჩამოთვლილი პირველს სხდომაზე. მაგრამ, რა გინდა, რომ ბევრს არ მოსწონებია ამ გვარი კერძო ხსენება და მესაყვედურებიან ეს რა დასაწერი იყოო?.. ღმერთო ჩემო, რა დღეს დამაყენებდნენ, რომ პარიჟის გაზეთების წაბაძვით, ღმერთი გამწყრომოდა და დამეწერა: ამ სალამოს დესწრო ლაწვ-ბადაბშოვანი კნიაქნა ა... ბრიალ-ლალი და წამწამ გიშერი კნეინა ხ.... და სხ. რას იტყოდნენ ეს ბატონები (ყურში ბ.მბა, ბატონებო) რომ მეთქვა ამა და ამ ქალს კოხთად შვენოდა თავ-საკრი, ამას და ამას ნაზის ხმით ვეფხის ტყაოსნის კითხვა და სხ? მგონი არც მ.მა სტეფანეს მოხვედროდეს იმდენი ქება, რამდენიც მე მომხვდებოდა, რომ ქართული ლიტერატურის ღირსება პარიჟის ლიტერატურის ღირსებამდის ჩამომეყვანა!...

ი. მეუსარგია.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—18)

საყმაწვილო წიგნი

„წყარო“

ანთ. ჯაფელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასასყიდლათ ჩარკვიანის, ბრიქაროვის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში.

ქალაქ გარეთ იყიდება: ბორში მარ. ჰერესელიძესთან, ქუთაისში ბერარდის წიგნის მაღაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ვინც კი ქართული წიგნებით ვაჭრობს.

ფასი ხუთი შაური. ოც ეგზემპლიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დაეთმობა ეგზემპლიარი.

მეორე № „წყაროსი“ გამოვა საღდგომოთ. (3—2)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ავმოსილი მაკ-ლეს-ტუნი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა ოქროს ბასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშანი, დუნები და სხვ. (150—42)

თესლები

ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, ბალაევინის პროსპექტზე, № 11, ლარშეს მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოგები თესლებისა. (10—9)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, მოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—48)

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით ატყობდეს, რომ ამა წლის მარტის 26, შუადღეზე, იმის თანა-დასწრებით დანიშნული ვაჭრობა (ტორგი) მიწის მუშაობის იჯარით გაცემაზედ ანდრეევსკის მადანებისა და ალექსანდროვსკის ქუჩებს შუა, გუკიაში, სამას (300) მანეთად კუბიკური საქენის მიწის ამოღება. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (უშრავაში) მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—2)

ღვინის სახდელი მაშინები

ინჟინერ-მეხანიკის **ბარტ ა. ფოლსპერის სისტემისა**, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზაოდებზე, **მზადდება** თფილისში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე **ქარლ ნეიმანთან.** (11—3)

დიდ-ძალ საქონლის დასყიდვა

ფაბრიკის ფასებით, **ინგლისის** მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახეძებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასაშშვერებელად რძიანი, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—3)

ხველის კამფეთები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი

ინგლისის მაღაზიაში.

(20—3)

პარიკმახერს არსენს ქუთაისში

კოსმეტიურს

მაღაზიაში

ეს-ეს არის მოუვიდა პარიჟიდამ მრავალი გამამშვენიერებელი ნივთეულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი ახლად მოგონილი თმის საღებავნი: „ოდეტიტერ“, „ოდალენს“ და „ოდანგელ“. მშვენიერი წამლები პირზედ დაყრილისა; სხვათა შორის ერთი სასელად „უებარი“, ალბან სელ-მისაცემ ფასად.

ვამედოვნებ, პატივცემული საზოგადოება ჩვენი მაღაზიის მადლიერი იქნეს. (10—3)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კალიტეებისა, ჭურჭლებისა, ბოკალებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩანგლებისა, მოგოლდადისა, კაკაოსი, დუნებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისა (გემრიელი კალეშუკინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაბანის სიგარები. (100—37)

ბევრი ქრაკტები

ფოდნოსები, კალიტეები, კალმები, ქალალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ძიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქალალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—8)

ყველაზედ უფრო ბევრი საქონელი კავკაზიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია**, არწრუნის გალერეიაში: ღირს სახესვად.

ისყიდება საზამთრო მოსასურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კალიტეები, ფანფოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2.—17

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მისინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რეგოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კალიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—36

დასყიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც უველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში. (20—8).

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.